# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კ.—განსაკნელზე—20 კ. [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.


## მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო“-ზე

## ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:
ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

---

გულ დათუთქული დედა კნ. სტალია ნიკოლოზის ასული აბაშ ძისა, მეუღლე კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარიშვილი და ბიძები თავ. გრიგოლ და ლევან კონსტანტინეს ძენი აბაშიძეები, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ

**ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის**

**საბახტარიშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან სამშაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, რკ. გზის სადგურზე, საიდანაც ღამის მატარებლით წაასვენებენ ქ. ქუთაისში. ქუთაისის სადგურიდან ოთხშაბათს, დილის 9 ს. ცხედარს წაასვენებენ საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა წირვის შემდეგ საფიჩხიის საფლავზე. (3-466-3)

---

პელაგია იაკობის ასული, ბეჟან როსტომის ძე, ნინო სილიბისტროს ასული, იასონ ბეჟანის ძე, ივანე და ვასილი იასონის ძენი, თამარ და ქეთევან იასონის ასულნი საბახტარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი ოთხნი უძვირფასეს საყვარელ რძლის და დანარჩენნი ბიცოლას

**ნინო (ნუცა) იასონის ასულის**

**საბახტარიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას.

(2-466-2)

---

ელისაბედ ივანეს ასული, სოფიო დიმიტრის ასული, რუსუდან ნესტორის ასული, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი და ალექსანდრე (საშა) გიორგის ძე საბახტარიშვილები უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი უძვირფასეს და საყვარელი რძლის და უკანასკნელი ბიცოლას

**ნინო (ნუცა) თ-დ იასონ აბაშიძის ასულის**

**საბახტარიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას.

(2-466-2)

---

გორის ქართველ ქალთა საზოგადოება

**„მანდილოსანი“-ს გამგეობა მართავს 14-ს იანვარს ჩვეულებრივ**

# ქართულ საღამოს

**გორის საკრებულო დარბაზში.**

დღისით, 12 საათზე, ამავე დღეს გადახდილ იქნება პარაკლისი საზოგადოების უფასო სასწავლებელში.

აგრეთვე ნება დართულია ამ დღისათვის ყულაბებით ფულის შეგროვება საზოგადოების უფასო სკოლის სასარგებლოთ.

(1—514—1)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, 11 იანვარს,

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

# არსენა

დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

**წარმოდგენაზე შესვლა უფასოა**

---

გაზეთ „საქართველო“-ზე

## ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვახ. ედილაშვილთან.

**ქუთაისში**—1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“,
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.

**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.

**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.

**სამტრედიაში**—პორფილე ჭეიშვილთან.

**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.

**ბაქოში** — ძმათა ბოსტაღანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).

**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.

**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე ქეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

---

# გორში

სამეფო ქუჩაზე, № 9, გიგლოევის შენობაში

**იყიდება** საუკეთესო ღირსების **მატყლი**

**პირიან ფასებში**

(1—468—1) არჩილ ასლანოვი.

---

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

**შეშხაპუნება**

---

ექიმი

## ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

---

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმქალი

## ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებ. შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ასმოლდიანისა

---

ექიმი

## პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

## საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალზე

ოცდა-მერვე წელიწადი **„ჯეჯილი“** ოცდა-მერვე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.

გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: **პატარებისათვის და მოზრდილთათვის.** ჟურნალი **„ჯეჯილი“** თბილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წლ. 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ. რედაქციაში **იყიდება ყველა 27 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები. ფასი რედაქციას არ მოუმატებია.** ხელის მოწერა მიიღება **თბილისში**—„რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5).

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ, въ Ред. Груз. дѣтскаго журнала „Джеджили“

რედაქტორ-გამომცემელი **ანასტ. თუმანიშვილი წერეთლისა.**

---

## ქაღალდის ფული

დიდი მსოფლიო ომის ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ ჩვენი თაობა დაუხმარებლად ვერ შესძლებს მის ტარებას. მართალია ჩვენი თანამედროვეები ომის ღმერთს უძვირფასეს მსხვერპლს სწირავენ, სახელდობ თავიანთ სისხლსა და თავიანთ სიცოცხლეს, მაგრამ ცნობილია, რომ მარტო-მარტო სისხლით არ შეიძლება ულმობელი კერპების დაშოშმინება. დიდძალი ოქროც არის საჭირო. და რადგან მეომარ სახელმწიფოების ნაღდი თანხა დღეს-დღეობით განსაზღვრულია, ისინი იძულებულნი არიან ომი კრედიტით აწარმოვონ, ე. ი. მომავალ თაობას დააკისრონ ვალის უდიდესი ნაწილის განაღდება.

როცა ომი დაიწყო, რუსეთში დაახლოვებით ოთხასი მილიონი მანეთის ოქრო და მილიარდ ნახევარ მანეთის ქაღალდის ფული ტრიალებდა. უკანასკნელი ოცდაათი თვე კი რუსეთის სახელმწიფოს თითქმის ოცდათხუთმეტი მილიარდი მანეთი დაუჯდა. ცხადია, რომ ჩვეულებრივ სახელმწიფო შემოსავალს არ შეეძლო ამოდენა ხარჯის დაფარვა: მით უმეტეს, რომ არაყის მონოპოლიის მოსპობისა და ინდუსტრიული პოლონეთის დაკარგვის გამო რუსეთის სახელმწიფო შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა. მეორე მხრივ რუსეთის ფულის ბაზარი ვიწრო და განუვითარებელია. ხალხი არ არის შეჩვეული საბანკო ოპერაციებს, ის მამა-პაპურად სკივრებსა და სარდაფებში ინახავს დაგროვილ თანხას. მივარდნილ პროვინციებში ვერ აღწევს ვერც მთავრობის მოწოდება, ვერც საგაზეთო პატრიოტული აგიტაცია. ეს გარემოება კი მეტის-მეტად აფერხებს შინაგან სესხის განაღდებას. ცნობილია, რომ ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის შინაურ ბაზარზე მხოლოდ ექვსიოდ მილიარდის სესხი განაღდდა.

ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა ქაღალდის ფულის მოსაჭრელი დაზგის ამუშავება. და მთავრობამ გულუხვად გამოიყენა ეს წყარო. გასული წლის დასასრულს ქაღალდის ფულის თანხამ ცხრა მილიარდ მანეთს მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში საკრედიტო ბილეთების რაოდენობა თითქმის ერთი ხუთად გაიზარდა. ქვეყანა აივსო ქაღალდის ფულით, ამას კი ცხოვრების არაჩვეულებრივი გაძვირება მოჰყვა. რასაკვირველია ცხოვრების გაძვირებას სხვა მიზეზებიც აქვს: მუშა ხელის შემცირება, მიმოსვლის უწესრიგობა და სპეკულიაციის გაძლიერება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფასების აწევაში, მაგრამ უმთავრესი ძალა, რომელიც დღევანდელს ბაზარს ამოძრავებს და საქონლის ღირებულებას საზღვრავს, მაინც ქაღალდის ფულია. და უწინარეს ყოვლისა ამ ძალის ბრალია, რომ მომხმარებელის არსებობა ასე უმწეო და უნუგეშო გახდა.

ამასთან ერთად ქაღალდის ფულის გამრავლებამ ნიადაგი მოუმზადა მავნე ილუზიებს. ომის დაწყებამდე რუსეთში თითო სულზე საშუალოდ თორმეტი მანეთი ქაღალდისა თუ ოქროს ფული მოდიოდა, დღეს კი სამოც მანეთზე მეტი მოდის. ეს გარემოება ზოგიერთ მოქალაქეში გამდიდრების გრძნობას იწვევს. მით უმეტეს, რომ დღევანდელ პირობებში ფული მეტის-მეტად მოძრავია და ადვილად გროვდება მოხერხებული გეშეფტმახერების ხელში. ფულის შოვნა ადვილი საქმე გახდა, ამ გარემოებამ კი ციებ-ცხელებისებური ცახცახი შეიტანა ეკონომიურს ცხოვრებაში. ბევრმა სრულიად თავი დაანება რეალური სიმდიდრის შემქნელ საწარმოვო შრომას და მეიჯარადრობას, სპეკულიანტობას ან შუამავლობას მიჰყო ხელი. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს მთელი სახელმწიფოსთვის. თუ დღეს რუსეთში ხუთჯერ მეტი ქაღალდის ფული ტრიალებს, ვიდრე ომის წინად ტრიალებდა, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო დღეს ხუთჯერ უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე მაშინ იყო. პირიქით: სახელმწიფო საგრძნობლად გაღარიბდა მთელი კულტურისანი კუთხის დაკარგვისა და დიდძალი ნივთიერი სიმდიდრის განადგურების გამო. სამხედრო ვალი კი ხვალ ასე თუ ისე უნდა განაღდდეს საწარმოვო ძალების ამოძრავების შემწეობით.

როგორც უკანასკნელი ოფიციალი ცნობებიდან სჩანს, მთავრობა კიდევ აპირობს ქაღალდის ფულის მოსაჭრელ დაზგის ამოძრავებას. განზრახულია სამი მილიარდი მანეთის გამოშვება. უეჭველია ეს გარემოება ცხოვრებას კიდევ უფრო გააძვირებს, ხოლო ეკონომიურ ურთიერთობას კიდევ უფრო დახლართავს.

ვ. ლეღიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ოფიციალ დეპეშის გადმოცემით აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ბარანოვიჩიდან ვიდრე თითქმის გალიჩის მიმართულებამდე ორივე მოპირდაპირე სხვა და სხვა ადგილებში მოწინავე რაზმების შეტაკებას აწარმოებს, ამავე დროს, ოფიცალ დეპეშის სიტყვითვე, რუმინეთის ასპარეზზე გარდა მდ. ოიტუზისა, სადაც მოპირდაპირე თურმე შეტევის დაწყებას სცდილობდა, ჩვეულებრივი სროლა სწარმოებდა მთელი დღე. ამ ცნობებიდან შეიძლება მხოლოდ ის დასკვნა გამოიყვანოთ, რაც არა ერთხელ გვითქვამს და გუშინდელ ჩვენს მორიგ წერილში გავიმეორეთ, სახელდობრ ისა, რომ გალიციის ასპარეზი უსათუოდ მაშველი ოპერაციით უნდა გამოეხმაუროს რუმინეთში მომქმედ მოპირდაპირეს ჯარს. ალსანიშნავია სწორეთ ის გარმოება, რომ გერმანელები სწორედ იმ მიდამოებში იჩენენ ცოტად თუ ბევრად აქტიობას აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, რომლის სტრატეგიული მნიშვნელობა საერთო ოპერაციისათვის განუზომელია. ბარანოვიჩი, კოველი, ბროდი, ნარიუვკა, თვით გალიჩის მიმართულება, ყველა ესენი ისეთი ადგილებია, საიდანაც უმთავრესად უნდა მოხდეს ოპერაციის დაწყება და განვითარება, თუ კი მართლაც გენერალური ოპერაცია დაიწყება რუსეთის ასპარეზზე. თვითეულ მათგანს, გარდა კერძო ტაქტიკურისა, მაშველი მნიშვნელობაც აქვს მის ახლო მყოფ მომქმედ ჯარებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ წარსული გენერალური ოპერაცია, მდ. დუნაიცზე დაწყებული, მაკენზენის თაოსნობით, რომელსაც შედეგად მოჰყვა როგორც გალიციის, ისე მთელ პოლონეთის დატოვება, რომ ნათლად გაითვალისწინოთ, თუ რაგვარ სტრატეგიულ ადგილებს წარმოადგენენ ყველა ზემოდ დასახელებული ადგილები. დუნაიცს მაშინ ავგუსტოვო ® სხვა ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრეები გამოეხმაურა. ასევე მიიწევდა სამხრეთით მდგომი ავსტრიელთა ჯარები და ცდილობდა, რაც კი შეიძლება, ღრმად შეჭრილიყო წვერით. როდესაც ვამბობთ, რუმინეთის ოპერაციას გალიციის ასპარეზი უნდა გამოეხმაუროსო, ამით იმის თქმა კი არ გვინდა, ვითომ ეს ორი ასპარეზი გამოთიშულნი დარჩებიან და მხოლოდ აქ გადასწყდება ოპერაციის ბედიღბალიო. სრულებითაც არა. გალიციის ასპარეზს აუცილებლივ მოჰყვება მოქმედება, როგორც კოველის, ისევე ბარანოვიჩის და რიგა-დვინის ასპარეზზე. დღეს რიგიდან მოყოლებული ვიდრე გალაცამდე ერთი ბრძოლის ხაზია. ფართო სტრატეგიული ოპერაცია, უსათუოდ მთელ ამ სახით იქნება წარმოებული, მხოლოდ ზოგიერთ მიდამოებს ამ უშველებელ ბრძოლის ველზე უფრო პასიურად მოუხდებათ მოქმედება და ერთგვარ გავლენას იქონიებენ მთავარ მიმართულებაზე. რუმინეთის დამარცხებამ რუსეთის სამხედრო შტაბს სრულიად მოულოდნელი საკითხი წამოუყენა. თუ წინედ აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მთავარი აქტიური სამოქმედო ასპარეზი რუსეთისათვის გალიცია იყო, სამხედრო შტაბი მთელი თავის სიძლიერით მხოლოდ ავსტრიელთა ჯარებს აწვებოდა და სცდილობდა ეს მოკავშირე გერმანეთისა სავსებით დაეუძლურებინა გალიციის მიწა-წყალზე; ახლა მან უნდა მთელი თავისი წინანდელი გეგმა შესაფერისად შესცვალოს და რუმინეთის ასპარეზს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. რუმინეთის ნეიტრალიტეტი რუსეთს, გარდა იმისა, რომ ბრძოლის ველს მეტად შესამჩნევლად უმოკლებდა, მასთანვე სრულებით უზრუნველ ჰყოფდა მის მარჯვენა ფრთას რაიმე ხიფათისაგან. ავსტრიელთ საშუალება არ ჰქონდათ ბუკოვინით გამოსულიყვნენ და კამენეც-პოდოლსკით შეჰსეოდენ რუსეთს. სულ სხვაა ახლა. რუმინეთის დაპყრობით რუსეთის სამხედრო შტაბი იძულებულია დაიცვას უპირველესად ბესარაბია, რადგან აქ გამოსული მოპირდაპირე უპირველესად შავი ზღვის ნაპირებს განსაცდელში აყენებს. ნათქვამიდან ცხადია, რუსეთის სამხედრო შტაბისათვის რუმინეთი ისეთივე მთავარ ასპარეზად უნდა გადიქცეს, როგორც გალიცია. და თუ ეს ასეა, მაშინ ოპერაცია რუმინეთში თავისთავად გამოიწვევს, ოპერაციის გააფართოვებს გალიციაშიაც.

X.

## ომის დეპეშები

10 იანვარი.

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. შარზე, ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. კდაროვის სამხრეთით, 8 იანვარს ღამის 3 საათზე მოპირდაპირემ 2 როტით სცადა იერიშით წამოსვლა, მაგრამ სრულიად შევაჩერეთ და ისევ თავის სანგრებს მიაშურა. კოველის მიმართულებით, რუდკა-მიგრინსკაია-ველიცკეს ხაზზე მოპირდაპირე ზარბაზნებს და ნაღმისმტყორცნელებს გვიშენდა, მერე იერიშით წამოვიდა, რუდკა-მოგინსკის სამხრეთით 2 ვერსზე ჩვენს სანგრებში შემოიჭრა, მაგრამ მყისვე გავდევნეთ და ჩვენი მდგომარეობა აღვადგინეთ. როჟიშჩე-კოველის რკინის გზაზე, სვინიკის მიდამოში და სტარი მასორის მიდამოებში ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის მავთულების ხლართი დასწყვიტეს. მტრის რაზმი პირველ წყების სანგრებიდან მეორეში გადარბოდა და თან სათადარიგო ჯარსაც იშველიებდა. ბროდის სამხრეთით მტერი მთელი ღამის განმავლობაში უშენდა ჩვენს სანგრებს დუბე-ბატკლვთან, გუკალოვცესთან და ტარნოპოლ-ზოლოჩევის გზატკეცილთან. ბრზეჟანის სამხრეთით ფრანგმა მფრინავმა ლეიტენ. გრასემ გერმანელების საფრენი ჩამოაგდო, რომელიც სოფ. სკობოროხნოვესთან დაეცა, მტრის მხარეს, მდ. ნარიუვკაზე.

**რუმინეთის ასპარეზი.** მოპირდაპირე სცდილობდა მდ. ოიტუზის ველში იერიშით წამოსვლას, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. დანარჩენ ხაზზე სროლაა.

**შავი ზღვა.** ბოსფორთან ჩვენმა წყალქვეშამ მტრის 1 გემი და 9 სანდალი დალუპა.

**კავკასიის ასპარეზი.** კემახის აღმოსავლეთით ოსმალების ორმა ბატალიონმა შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით, სენ-კანტენის მთის მიდამოებში მტრის ჯარი სროლით გავფანტეთ. მაასის მარჯვენა ნაპირას, შამბერტის და ორიერის ტყეში ორივე მხრივ ზარბაზნების სროლა იყო. ბენდესაპის ჩრდილოეთით, სენონის მიმართულებით მარჯვეთ ვუტევდით გერმანელებს.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირას, გერმანელებმა 9 იანვარს შებინდებისას, მედგარი სროლა აუტეხეს კასაერას ტყის ჩრდილომიდამოებს, მაგრამ ტყვიისმფრქვევლებით და ზარბაზნებით მოვიგერიეთ.

**პარიზი.** დღის ოფ. ცნობა. ლალინის მიდამოებში გერმანელებმა შემოგვიტიეს, მაგრამ ადვილად უკუვაგდეთ კანისურმატცისაკენ და ტყვეებიც ხელთ ვიგდეთ.

### ინგლისი

**ლონდონი.** დღის ოფიც. ცნ. საფრანგეთის ასპარეზისა. ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მარჯვეთ შეუტიეთ მტერს, ყუმბარებით დავანგრიეთ მიწური საფრები, მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ; ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა ჩვენს სანგრებს რანკურის, ბოკურის, სერის და იპრის მიდამოებს. ჩვენ მარჯვეთ ვუშენდით ზარბაზნებს სენპიერ-ვაასტის ტყესთან და გომკურარმანტიერის მახლობლად.

მესოპოტამიაში მოპირდაპირე უკუვაგდეთ მდ. ტიგროსის ჩრდილო-აღმოსავლეთით კუტ-ელ-ამარიდან. აქ 1500 ადლის სიგრძეზე მტრის სანგრები ჩვენ ხელთ არის. მდ. ტიგროსის მარჯვენა კიდე კუტ-ელ-ამარამდე მტერმა დასცალა. კუტ-ელ-ამარას სამხრეთ-დასავლეთით, ტიგროსის მარჯვენა ნაპირზედაც გავიმარჯვეთ.

### იტალია

**რომი.** იტალიის ოფიც. ცნობა. სარკასა და ადიჯეს შუა ზარბაზნების სროლაა. ცნობა მივიღეთ, რომ მტრის ჯარი ამოძრავებულა. ტრენტინოდან იულის ალპებამდე ჩვეულებრივი სროლაა სასანგრო მორტირებისა. პლავისა და კარსოს მიდამოებში მზვერავების რამდენიმე შეჯახება მოხდა.

### საბერძნეთი.

**სოლუნი.** გაზ. „ოპინიონი" 8 იანვრის თარიღით იტყობინება: განთავისუფლებული ვენიზელოსელთა მფარველობა ათინაში მყოფმა ინგლისის მისიამ იკისრა. პელოპონესში ზარბაზნების გადაზიდვას შეუდგნენ. მთავრობა თანახმა, რომ პელოპონესში გადაიყვანოს კორფუს და ლევკადიის კუნძულებზე მ-ბანაკე პოლკი. ინგლისის სამხედრო კონტროლი ლარისში გაემართა მაიორ კამბერსის მეთაურობით.

### ბელგია

**ჰავრი.** გერმანეთიდან ცნობა იყო, ვითომც ინგლისელთ ბელგიისათვის ფული უსესხებია და სამაგიეროდ ბელგიის ახალშენ კონგოს საუკეთესო ნაწილი მიუღია. ბელგიის მთავრობა უარჰყოფს ამ ცნობას.

### ჩინეთი

**პეკინი.** პრეზიდენტის ბრძანებით ადგილობრივი თვითმართველობა აღადგინეს.

### გემების დალუპვა

**მადრიდი.** ფეროლიდან იტყობინებიან: ინგლისის გემი „სეილი" და საფრანგეთისა „ბარენტი" დალუპეს. ზედმყოფნი გადაარჩინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუსეთის ასპარეზი

#### გამოლაშქრების მოლოდინი

საფრანგეთისა, ინგლისისა და შვეიცარიის სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანელები სულ ახლო ხანში საშინელ თავგანწირულ შემოტევას აპირებენ რუსეთის ასპარეზზე. „პოლიტიკენ"-ი გადმოგვცემს, რომ გერმანელთ მთავარბანაკში სამხედრო თათბირი თათბირს მოსდევს. ჰინდენბურგს წარუდგენია თავისი ახალი სამოქმედო გეგმა აღმოსავლეთისაკენ შემოტევისა დიდძალი ჯარით.

ამავე საგანს ეხება „ბ. ვ"-ის სამხედრო მიმომხილველი კ. შუმსკი და სწერს: რუსეთის ასპარეზზე ჩრდილოეთით და სამხრეთით 1000 ვერსით ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილზეა დღეს ცხარე ბრძოლა, რუმინეთში და რიგა-დვინის მიდამოებში. ამ 15 თვის წინად გერმანელები ჩრდილოეთის ხაზზე გაჩერდნენ იქ, სადაც შეაჩერეს. ეს ბრძოლის ხაზი შემთხვევითია, ამას არავითარი ბუნებრივი სიმაგრეები არ გააჩნია, თუმცა გერმანელებმა მიუდგომელი ფოლადის კედლები ამართეს ამ ხაზზე. მას მერე, ამ 15 თვის განმავლობაში აქეთ ყოველისფერი მიაყურსეს, თითქოს არც კი უნდოდათ ვისთვისმე გაეხსენებინათ ამ ასპარეზის არსებობა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხაზი სწორედ ეს რიგა-დვინის ხაზია, რადგანაც იგი გერმანეთის მიწა-წყალზე შედარებით მეტად ახლოა, სულ ასიოდე ვერსი იქნება, ე. ი. სულ ხუთი დღის სავალი გზაა გაქანებული ჯარისათვის. უნდა ველოდეთ რომ გაზაფხულზე, რაკი ცოტა მოთბება, ამ ასპარეზზე უფრო მქუხარედ იგრგვინებს ზარბაზნები, ვიდრე როდისმე.

გერმანელებმა რუმინეთის ასპარეზზე უკვე შეამოკლეს ბრძოლის ხაზი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ იქ ცხარე შემოტევას მაინც თავს არ ანებებენ და საქმეს რაღაც მოსაზრებით აჭიანურებენ.

ჩრდილოეთით რიგასთან და სამხრეთით სერეტზე მეტად ცხარე ბრძოლა გაჩაღდება გაზაფხულსა და ზაფხულში.

ჩრდილოეთის ასპარეზიდან ერთი გზა რუსეთისაკენ მიდის, მეორე ჩვენი სატახტო ქალაქისაკენ, სამხრეთის ასპარეზიდან კი ერთი გზა სტამბოლისაკენ, მიდის ბულგარეთზე, მეორე მოლდავია-ბესარაბიისაკენ.

1917 წლის ზაფხული უფრო მეტს ცვლილებას გვიქადის ვიდრე 1914, 1615 და 1916 წლები.

### ზავის გარშემო

#### ზავის პირობები

ამერიკელი გერმანელები ვაშინგტონში იმ აზრისანი არიან, რომ გერმანეთი საიდუმლო მოლაპარაკების დროს უფრო შეღავათიან პირობებს წამოაყენებს, ვიდრე საჯაროდ, რადგანაც ანექსიონისტებისა მოერიდებაო, ეხლა კი საჯაროთ იგი, უეჭველია უფრო მძიმე პირობებს წამოაყენებსო.

#### უილსონის განზრახვა

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: პრეზიდენტი უილსონი კვლავ აპირებს გერმანეთს მიჰმართოს და ნამდვილი ზავის პირობები მოქითხოსო.

### საბერძნეთი

#### გენ. კალარისის გადაყენება.

როგორც ვიცით მეფე კონსტანტინე მოკავშირეებმა იძულებულ ჰყვეს 19 გიორგობისთვის ამბების ხელმძღვანელი გენერალი კალარისი გადაეყენებინა კორპუსის უფროსობისაგან. მეფეს მის ადგილას დაუნიშნავს თავისი გენერალ-ადიუტანტი იანაკიტსასი, რომელიც სკულუდისის სამინისტროში სამხედრო მინისტრად იყო.

#### ფალკენჰაინი ათინაში

მილანის გაზეთ Secolo"-ს მაკედონიაში მყოფი თანამშრომელი აცხობინებს: გენ. ფალკენჰაინი კავალიდან წყალქვეშა ნავით ათინაში მივიდა. იგი დიდხანს ეთათბირა მეფე კონსტანტინეს და მერე ლარისში წავიდა, სადაც დღესაც იმყოფებაო.

#### მოკავშირეებს ხელზე იხვევენ

სალონიკიდან იტყობინებიან: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საბერძნეთის მთავრობა არცკი შესდგომია მოკავშირეთა მოთხოვნილების შესრულებას. გაზეთი „კირიკს"-ი სწერს: უმჯობესია აკრობოლი მოკავშირეთა ზარბაზნებით დაინგრეს, ოღონ მოკავშირეთა ბადეში არ მოვხვდეთო. ამის გამო სალონიკის გაზეთები სწერენ: ათინის მთავრობა კვლავ ხელზე იხვევს მოკავშირეებს და მაკენზენის ჯარის მოსვლას მოელისო.

### ნიდერლანდია

ნიდერლანდიის მთავრობას ვესტკაპელეს მახლობლად გერმანელების წყალქვეშა დაუტყვევებია 2 იანვარს და ფლისინგენში მიუყვანიათ. წყალქვეშას უფროს ასეთი ხელწერილი მიუცია: ნიდერლანდიის წყლებში სქელი ნისლის გამო მოვხვდი. არავის არ გამოვქცევივარ და მთელი დღის განმავლობაში მტერი თვალითაც არ მინახავსო. ასეთი ხელწერილის მერე წყალქვეშა გაუნთავისუფლებიათ.

### პრო. დელბრუკის წერილი

ამას წინად ცნობილმა გერმანელმა პროფესორმა დელბრუკმა ფრიად საგულისხმო წერილი მოათავსა გერმანულ გაზეთებში. ამ წერილს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პროფესორი დელბრუკი გერმანეთის მმართველ წრეებში ფრიად მიჩნეული და გავლენიანი პირია. მოგვყავს ნაწყვეტები: „ჩვენ ისეთს ზავს უნდა ვესწრაფოდეთ, რომელიც თავისთავად იგულისხმებდეს მშვიდობიანობის თავდებობას. ასეთი ზავი კი შეუძლებელია, თუ ისეთს მოთხოვნილებებს წამოვაყენებთ, რომელიც მოპირდაპირეებს აფიქრებინებს, ვითომც ჩვენ მსო-

## აკად. ნ. მარრი და შოთა რუსთაველი

ბ-ნი ნ. მარრი ძალიან გატაცებულია ანისის არქიტექტურით... ამიტომ, მისდა სასიამოვნოდ, ამ წერილს საარქიტექტურო მოსაზრებით ვიწყებ.

„ჰეინე ამბობდა: სულ ერთია საიდან ავიღებ მასალას, ოღონდ თვითონ შენობა მშვენიერი გამოვიდესო. მართლაც და, დიდებული პოეტი ძალიან ლიბერალურად ეპყრობოდა ამ მასალას და მსოფლიო ლიტერატურის საღაროდან ხშირად გამოჰქონდა დამთავრებული სვეტი, მხატვრული კაპიტელი, ჩუქურთმიანი თაღები... და ამისთანა მასალაზე აგებდა თავისს საუცხოვო შენობებს..

ბ. მარრი დიდი მეცნიერია, მაგრამ დიდია იგი მხოლოდ თავის დარგში; როგორც ორიენტალისტი, ფილოლოგი და ისტორიკოსი იგი დიდის ყურადღების ღირსია. მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ წინააღმდეგობა გავუწიოთ, როცა თავისს სფეროსა სტოვებს და გადადის სულ სხვა, მისთვის უცნობ სფეროში. ასეთია, სხვათა შორის, უფლება და პოლიტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ბ. მარრს ადვილად შეუძლია გამოიკვლიოს ყოველი სიტყვა, მისი ძირი, მისი წარმოშობა, მისი განვითარება და გადასხვაფერება... ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ ამ გზით ვერასოდეს დააფასებთ რუსთაველს.

შარშან გამოვსთქვი ის აზრი, რომ რუსთველის დანახვა და დაფასება შეუძლებელია, თუ წინასწარ არ ავედით ისეთ მწვერვალოზე, საიდანაც ადვილი დასანახი იქმნება მთელის კაცობრიობის იდეიური ევოლუცია: ასეთია იდეა თავისუფლებისა და მსოფლიო ძმობისა, საიდანაც აშკარად მოსჩანან სხვა საჭირო მწვერვალონიც: ა) ადამიანი და არა ეროვნება; ბ) რწმენა, როგორც სულიერი განცდა, და არა კულტი, როგორც გარეგნული გამოხატულება სჯულისა; გ) სიყვარული, როგორც მსოფლიო სული. მე ვამბობდი, რომ ეს არის ძირითადი, იდეიური შინაარსი „ვეფხის-ტყაოსნისა", და მხოლოდ ამ მწვერვალოებიდან ადვილად დაინახავთ თვითონ რუსთაველს, ადვილად გაიგებთ მას, ადვილად შენიშნავთ, თუ სადმე მოიპოება რაიმე შერყვნილი ადგილები მის ნაწარმოებში-მეთქი.

ეს ჩემი აზრი ბ. მარრიმ მხოლოდ გაკვრით მოიხსენია, არ მისცა მას შესაფერი განვითარება, გაჰყვა ისევ საფილოლოგიო წვრილმანობას და, ბოლოს, თავის ლექციით ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ რუსთაველი თითქოს გაჰქრა, როგორც ქართველი გენიოსი, გაჰქრა, როგორც დიადი შემოქმედი ძალა, შემთხზველი საქართველოს ეროვნულის ციტადელისა. თავი და თავი, თურმე ეს შემოქმედება კი არ არის, თავი და თავი თურმე ყოფილა ის უმნიშვნელო და საცოდავი მასალა, რომელიც რუსთველს ვითომდა გამოუტანია სომხეთის კულტურისაგან. შეიძლება, მართლა, რუსთველს თვისის დიდებულ შენობის ასაგებად გამოეტანოს ანისიდან—ორი სამი ფუთი გაჯი და არაქსიდან ორისამი კოკა წყალი. შეიძლება, რუსთველს ჰქონდეს ნახმარი ორი-სამი სომხური სიტყვა, ორი სამი არმენიზმი; მაგრამ ნუ თუ ეს შესანიშნავი და გასაკვირველი მოვლენაა, რომ სწორედ ეგ ჰჩრდილავდეს ყველაფერს?! დგას ბ. მარრი უშველებელ და მშვენიერ ციტადელს ქვეშ, დაუჭერია საფილოლოგიო ჯაყვა, ჰფხაჰენს იმით ქვითკირს და გაიძახის: აი, ამ კუთხეში, უსათუოდ სომხური გაჯიაო! დეე იყოს სომხური გაჯი,—მაგრამ რა უმწეო უნდა იყოს თვითონ კრიტიკოსი ან მკვლევარი, რომლის ესტეტიური შეგნება და იდეიური განიერება ამ ნაფხვენის ყურებით იზღუდება? რას იტყოდა ბ. მარრი, რომ პოემაში აღმოეჩინა ჰეინესებური კაპიტელი და თაღები?! თუ რუსთველმა გამოიტანა გაჯი და სხვა ამისთანა საცოდავი მასალა (სიტყვა და კილოკავები) სომხურ კულტურისაგან, ნეტა, რატომ უფრო ძვირფას მასალას არ მოავლო ხელი? რა უჭირდა, რომ ჰეინესებ გამოეტანა თლილი ქვები, ჩუქურთმიანი თაღები, ხუჭუჭა კაპიტელები? სჩანს, რომ არც ერთი, არც მეორე, არც მესამე მაშინ სომხეთში არ მოიპოებოდა... მაშასადამე, მაშინდელ სომხეთის კულტურის შესახებ ქართულ კულტურასთან შედარებით ლაპარაკი, რომ მეტი არა ვსთქვათ, უნიადაგოდ მიგვაჩნია. სომხურ სიტყვებს და ვითომდა პოემაში გაფანტულ არმენიზმებს არავითარი მნიშვნელობა აქვს დიად რუსთველის თხზულებისთვის. აქ კულტურულ გავლენაზე ლაპარაკი სრულებით უადგილოა და... სასაცილოც თავის ლოგიკურ სისუსტით.

მაგრამ ჩვენს აკადემიკოსს არა მარტო ლოგიკა, მეხსიერებაც კი უნდა ჰღალატობდეს.

„მე ამ 25 წლის წინეთ ვთქვი,—ამბობს ბ-ნი მარრი,—რომ ქართული ლიტერატურა სპარსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყო; ეს ბევრს არ მოეწონა და მე დამგმეს; ეხლა ქართველებიც გაიზარდნენ და უფრო მშვიდობიანად მსჯელობენ სამეცნიერო საგანზეო"... არა ბატონო, სცდებით.

ამ 25 წელს წინად თქვენ გამოაცხადეთ: ბრიტანიის მუზეუმში აღმოვაჩინე „ვეფხის ტყაოსნის" სპარსული ორიგინალიო. ამ „აღმოჩენამ" ყველა განაცვიფრა და ყველა მოუთმენლად ელოდა დაწვრილებით ცნობას ამ „აღმოჩენის" შესახებ, ელოდა დიდხანს და, ბოლოს, ეს თქვენი „აღმოჩენა" ცოცხალი სიცრუე აღმოჩნდა! ეს ერთი.

გავიდა ათი თორმეტი წელიწადი და ამ სიცრუის ჩასაფუჩეჩებლად თქვენ გამოაცხადეთ, რომ „ვეფხის ტყაოსნის" ორიგინალი ეხლა დაკარგულიაო. მაგრამ თავის დროზე სპარსეთში უეჭველად იქნებოდაო... ეს მეორე...

გავიდა კიდევ ათი-თორმეტი წელიწადი და ეხლა თქვენ ჰბრძანებთ, რომ სპარსულ ლიტერატურას ქართულსაზე ზედგავლენა ჰქონდაო, ე. ი. გამოსთქვამთ ისეთ ტრივიალურ აზრს, რომლის წინააღმდეგ არავინ ყოფილა და არავინაც იქნება. ამნაირად, ამ 25 წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება კი არ გაიზარდა ბ. მარრის სიბრძნის მისაწვდომად, არა, თვითონ ბ. მარრი გაიზარდა და შეიგნო, რომ

„სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

მაგრამ შეიგნო კი? არა მგონია. ევოლუცია მისის შეხედულებისა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანია მისი „სპარსულ ლიტერატურის ზედ-გავლენა". რომელ ზედ-გავლენაზედ ლაპარაკობს ბ-ნი მარრი? თუ ლაპარაკი ისეთ ზედგავლენაზეა, რომელიც პოეტს მხოლოდ მასალას აძლევს, ან გარეგნულ ფერადობას (და არა იდეიურ შინაარსსა და მხატვრობით მიწვდენას), მაშინ სხვაა; ასეთი ზედ-გავლენა მართლა იყო და უნდა ყოფილიყო კიდეც; ეს არამც თუ ამცირებს რუსთაველს, პირიქით, რუსთაველი რუსთაველი არ იქნებოდა, რომ თავის გონების ფოკუსში ერთად არ შემოეკრიფა ყოველი შუქი მაშინდელ კულტურულ მოძრაობისა. ხოლო, თუ ბ-ნი მარრი ლაპარაკობს იმ ზედ-გავლენაზე, რომელიც სპობს რუსთველის ორიგინალობას და გენიოსობას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი შეხედულობის ევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა. თბილისში ეხლახან გარდაიცვალა ერთი პატივცემული მანდილოსანი; შესანიშნავი იყო იმით, რომ მთელ თავის სიცოცხლეში სდევნიდა თავის ოჯახიდან ქართულ ენას, ქართული ეზიზღებოდა, ალბად, ეგონა, რომ ამაში გამოიხატებოდა დიდი არისტოკრატიზმი. წარმოიდგინეთ, ამ პატივცემულ ადამიანს თურმე სიკვდილის წინედ დაუწყვია ქართულად ლოცვა,—

„სიკვდილის წინეთ, ამბობენ,
აჭიჭიკდება გედიო"...

ბ. მარრს ჯერ სიკვდილი ღმერთმა დაუფაროს, მაგრამ ნუთუ სიკვდილი უნდა მოგვადგეს კარზე, რომ აღვიაროთ ჭეშმარიტება?!

* * *

აგრე საცოდავად ჩაიფუშა ჩვენი აკადემიკოსის ცდა, ჩვენის ეროვნულის ციტადელის დასანგრევად მიმართული.—აგრეც უნდა მომხდარიყო. აბა, რაღა ციტადელია ის ციტადელი, თუ მის დანგრევას შეიძლებს ერთი ან ორი მეცნიერი, ერთი ან ორი საუკუნე! საუკუნე უკვე რვა მაინც გავიდა და ჯერ რუსთველის შენობა მცირედაც არ გაბზარულა; მეცნიერი ჯერ ერთად-ერთი ბ-ნი მარრია, რომელიც დღესაც ცდილობს ამ შენობას რამე დააკლოს. თორემ თქვენ თვითონ გასინჯეთ.

პირველად ბ-ნი მარრი სარგებლობს ორ სიტყვის შემთხვევითის ერთხმოვანებით,—ეს სიტყვებია—მესხი და სომეხი. ემყარება ამ მეცნიერულ საფუძველს და კომიკურ თავ-მომწონეობით ამტკიცებს მესხების და სომხების ახლო ნათესაობას. რუსთაველი კი მესხი იყო. რასაკვირველია, ბ-ნი მარრი ამისთანა მეცნიერულ უცნაურობას სიფთხილით ეპყრობა და პირდაპირ ვერა ჰბედავს რუსთაველიც სომხად გამოაცხადოს ან როგორ გაბედავდა? მაშინ ხომ ყველა შეეკითხებოდა: თუ რუსთაველი სომეხია, როგორ მოხდა და როგორ დაიწყო მან ქართულად წერა? როგორ მიატოვა თავისი კულტურული სამშობლო, თავისი კულტურული ენა და როგორ გადავიდა ქართველობაზე?! თუ სომეხი იყო და ქართულად დაიწყო წერა, სჩანს, საქართველოში ყოფილა კულტურული კერა, და ისე ძლიერიც, რომ თვით გენიოსი სომეხი გარდაუქმნია ქართველად... ერთის სიტყვით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომლის თქმა სრულებით სახეში არ ექმნებოდა ბ-ნ მარრს.

არა, ის ამბობს მხოლოდ, რომ მესხები ერთ დროს ლაპარაკობდენ სომხურთან მონათესავე ენაზე; სამხრეთმესხეთი მერე თანდათან გაითქვიფა სომხობაში, და შეუერთდა სომხეთსა, ხოლო ჩრდილო მესხეთი—საქართველოსაო.—ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მესხეთი არც ისტორიულად, არც ეთნოგრაფიულად, არც გეოგრაფიულად სომხეთს არ ეკუთვნოდა; მესხეთი სხვაა, სომხეთი სულ სხვაა—და იმიტომ სრულებით გაუგებარია, რისი თქმა უნდოდა პატივცემულ აკადემიკოსს?

მესხები სომხურთან მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენო,—მერე?.. ერთი ნაწილი გაითქვიფა სომხობაშიო,—მერე?.. მესხეთი სომხეთის საზღვარზე ჰდევსო,—მერე?!. რაღა მერე, სდუმს აკადემიკოსი, მაგრამ მისი დუმილი და სახის შემცოდე გამომეტყველება ცხადად ამხელს მის გულის წადილს: იგი ებღაუჭება რუსთაველს, ჰცდილობს როგორმე შეითრიოს იგი სომხეთის ისტორიის ფარგლებში, ლამის ქუდაჯა ჩამოახიოს...

საზოგადოდ, სიტყვების ერთხმოვანებას ბ-ნი მარრი დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას აძლევს. „მესხი" „სომეხსა" აგონებს, „შოთა" სომხურ სახელს „აშოტსა", თუმცა თვითონვე ამბობს, რომ „აშოტი" სომხური სახელია თუ არა—ღმერთმა იცისო. თუ ეს მეცნიერული მეთოდია, დიდის სიამოვნებით მივეშველები სახელგანთქმულ პროფესორს. აი, მაგალითად, ჩემის აზრით სომეხი წარმოდგება „მეხისაგან",—აშკარაა, ერთ დროს სომხეთის კულტურა ჰგრგვინავდა, როგორც მეხი; სამოვარი კი ქართველების გამოგონილი უნდა იყოს: როცა პირველად ადუღდა და ჩუხჩუხი დაიწყო, თითქო იძახდა—„საამო ვარ, საამო ვარო! აქედან—სამოვარი.

ეგ იქნება მეცნიერება?!

გიორგი გვაზავა.

(დასასრული იქნება)

ფლიო ბატონობას ვესწრაფოდეთ. თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხი მუდამ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვის; ბრძოლით დამორჩილებული ერებიც კი მუდამ სცდილობენ მონობის უღლიდან გამოსხლტომას. ამის საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენს 1813 წელი, როდესაც ნაპოლეონის უღლის წინააღმდეგ ვიბრძოდით. მართალია ჩვენი უზრუნველყოფა მხოლოდ ჩვენს ძლევამოსილობაზე უნდა ემყარებოდეს, მაგრამ ამასთანავე საჭიროა, რომ მეზობლადაც ძლიერი ეროვნული ერთეული გვყავდეს. უამისოდ მკვიდრი ზავი შეუძლებელია.

თუმცა ინგლისი და საფრანგეთი თავგამოდებით გვებრძვიან, მაგრამ მომავალში არსებითს საფრთხეს არ წარმოადგენენ ჩვენთვის. ჩვენი უმთავრესი მიზანია, რომ უაღრესი უზრუნველყოფა რუსეთისაგან მივიღოთ. საჭიროა აგრეთვე, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი თანაბრად კი არ გავანაწილოთ მოპირდაპირე სახელმწიფოებზე, არამედ უმთავრესად ერთ-ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ მივმართოთ.

დელბრუკი ბოლოს დასძენს: მტკიცე ზავის დასამყარებლად უცილობლად საჭიროა კურლანდიის შემოერთება, რის შემდეგაც იქ მოსახლე ლატიშები უნდა გადავასახლოთ და კურლანდიაში კი გადმოვასახლოთ რუსეთში გაფანტული 2 მილიონი გერმანელი მოახალშენე გლეხებიო".

## გერმანეთი და ინგლისი

### სხვა სიმაგრენი.

ჰელჰოლანდის გარდა გერმანელებმა ამ კუნძულებზედაც ააგეს მკვიდრი სიმაგრეები, სადაც ზარბაზნები უდგათ და მეციხოვნე ჯარიც ჰყავთ ჩაყენებული. ამათგან უფრო თვალსაჩინო გახლავთ ვილჰელ-ჰაფენი და კუქს-ჰაფენი, რომელთა მახლობლად ამართულ სიმაგრეებიდან დიდი ყალიბის ზარბაზნები გადმოიყურება. კოკუმის კუნძულზე ჰოლანდიის საზღვრის მახლობლად 40 მძიმე ზარბაზანი და მეზღვაურთა ჯარი უდგათ. ეს სიმაგრე ემის სრუტის შესავალს სდარაჯობს. როგორც ჰელჰოლანდთან, ისე სხვა ადგილებშიაც, სანაპიროებში ყველგან ნაღმები აქვთ ჩაწყობილი. ეს სანაპიროები ყოვლად მიუდგომელია.

**ბალტიის ზღვის სანაპიროები.**

ბალტიის ზღვიდან უფრო ძნელია გერმანეთის სანაპიროებთან მიკარება. აქ ოკეანიდან მხოლოდ დანიის სრუტიდან არის მისავალი, ეგრედ წოდებულ ზუნდიდან, დიდ და პატარა ბელტიდან. პირველი სრუტე კოპენჰაგენსა და შვეციის სანაპიროს შუაა მოქცეული და უმთავრესი სანავოსნო გზაა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შუა. ამ სრუტეში ვერ გაივლის ისეთი დრედნოუტი, რომელიც 8 ადლზე მაინც ზის წყალში, რაგანაც ბალტიკაში შესავალთა წყალის სიღრმე $7^1/_{10}$ ადლის სიღრმეს უდრის. სამხედრო ფლოტი ვერ გაივლის აგრეთვე პატარა ბელტის სრუტეშიაც, რომელიც გერმანეთისა და დანიის კუნძულ ფიონენის შუაა მოქცეული. ამ სრუტის სიგანე მხოლოდ 8 ვერსს უდრის და მოპირდაპირის გემებს ორივე ნაპირიდან გერმანელები ზარბაზნის ცეცხლში გაახვევენ. დარჩა დიდი ბელტის სრუტე, რომელიც დანიის კუნძულ ფიონენსა და ზელანდიის შუაა მოქცეული. აქ წყლის სიღრმე 11 ადლს უდრის. აქ შეეძლოთ სამხედრო გემებს მოქმედება, მაგრამ გერმანელებმა ომის დაწყებისათანავე აქ ნაღმები ჩააწყეს და გზა შეჰკრეს, მიუხედავად დანიის ნეიტრალობისა.

**როგორ უნდა მიუდგნენ გერმანეთის სანაპიროებს.**

სტროევოის აზრით გერმანეთის სანაპიროებზე იერიშის მისასვლელად საშუალო ზომის გემებით შეიძლება. წინ უნდა უძღოდეს მარდი კრეისერები, ნაღმოსნები და კონონერკები, რომ მტრის მოდარაჯე გემები და წყალქვეშა ნავები უკუაგდონ და სანაპიროებისაკენ გზა გაიკაფონ. ცხადია ამ გემებს წინ უნდა უძღოდეს ნაღმების ამომკრეფი გემები. მხოლოდ მას უნდა მისდევდეს ან სანაპიროების დასაშენად სამხედრო გემები, ან პატარ-პატარა გემები გერმანეთის სანაპიროზე ჯარის გადასაყვანად.

მართალია მეტად ძნელი და გაბედული იქნება ასეთი ნაბიჯი, მაგრამ ინგლისი ამას შესძლებსო, და ძნელ სტროევოი.

## რუმინეთი.

რუმინეთის სენატისა და ეროვნულ ბანკის წევრნი იასიდან უკვე ხერსონს გაემგზავრნენ. იქვე გადაიტანეს ეს დაწესებულებანი.

## უკანასკნელი ცნობები

გერმანელებს ამ ბოლო დროს აუშენებიათ უშველებელ ხიდიდის ხმელეთზე სატარებელი ჯავშნოსნები, რომლებზედაც სამ დიუმიანი ზარბაზნები იქნება დაწყობილი. ამ ჯავშნოსნებს რუსეთის ფრონტზე გამოუშვებენო.

—

გერმანეთი ათასამდე წყალქვეშას აშენებს. 800 წყალქვეშა მოქმედობს. 100 დაიღუპა. გერმანელები თავიანთ იმედს წყალქვეშათა ბრძოლაზე ამყარებენ.

—

პეტროგრადის გამოჩენილ ფინანსისტთა ბინები გაჩხრიკეს.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის კანდიდატთა შორის თბილისის სამოსამართლო პალატის სენატორს ჩემიშევს ასახელებენ.

—

ოდესის ქალაქის უფროსი სახნოვსკი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

—

უწმინდესმა სინოდმა მღვდელმთავრებს ცირკულიარი დაუგზავნა და წინადადებას აძლევს შთააგონონ სამღვდელოებას, რომ საჯაროდ თუ-თუნი აღარ მოსწიონ.

—

ამბობენ, მთავრობა ხალხს ანგარიშს გაუწევს და პოლონეთის სამეფოს მოსაწყობად შედგენილს აქტს გამოაქვეყნებსო. ეს აქტი საზონოვის პროექტს უახლოვდებაო.

## ახალი ამბავი

**† ნიკ. ალ. ტარხაიძე.**

განჯიდან სამწუხარო დეპეშა მივიღეთ. იქ გარდაცვლილა თბილისში კარგად ცნობილი საოლქო სასამართლოს წევრი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე. განსვენებულის ცხედარს თბილისში მოასვენებენ. ნეკროლოგს ხვალ დავბეჭდავთ.

### ქართული დაწესებულებანი.

**უხვი შემოწირულებანი.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ახლად გარდაცვალებულს აბ. ა. ანანოვს ანდერძით დაუტოვებია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისათვის 5.000 მან. და ვარციხის (ქუთაისის მაზრა) სასოფლო სკოლისათვის 5.000 მან.

**კრების გადადება.** კვირას, 8 იანვარს, დანიშნული იყო ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. დილის $11^1/_2$ საათზე კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, სახელმწიფო საბჭოს წევრმა, გუბერნიის მარშალმა, თავ. კ. ნ. აფხაზმა. მაგრამ რადგან იმავე დღეს, 12 საათზე, საეკლესიო ფრესკების გამოფენა იხსნებოდა სამხედრო მუზეუმში და ყველას იქ მიეჩქარებოდა, კრება გადაიდვა პარასკევისათვის (13 იანვარი). ამ კრებას ფრიად საგულისხმიერო საკითხი აქვს გადასაწყვეტი, სახელდობრ ისა, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს საზოგადოების კომიტეტსა, ქართულ გიმნაზიის დირექტორსა და გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს შორის.

**ქართ. საქველმოქ. საზ. ბორჩალოს** განყოფილებას თავ. ნიკ. ეფ. ქობულაშვილმა და მისმა დედამ კნ. ნ. ე. ქობულაშვილმა სოფ. კაზრეთში შესწირა 25 დესეტინა მამული, ათიათას მანეთად ღირებული. განყოფილების გამგეობას აზრად აქვს დაარსოს ამ მამულში სასოფლო სამეურნეო სკოლა ტეხნიკური განყოფილებით.

**ქართველ ქალთა საზოგადოების** საჩაიემ „ძნურმა ნუგეშმა" გაუგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას 1.500 მანეთი.

### ქალაქის დაწესებულებანი

**ქალაქის გამგეობის** განკარგულებით 10 იანვრიდან ახალი საქალაქო სასურსათო დუქნები იხსნება ავლაბარში 2 და ტრამვაის პარკში. მალე ასეთივე დუქნები გაიხსნება ვაკეზე, ნადიროვკაში და ორთაჭალაში.

**ქალაქის გამგეობამ** სამსახურიდან დაითხოვა სასურსათო დუქნის № 8 გამგე, რომელსაც ბოროტმოქმედება ჩაუდენია შაქრის საქმეში.

**ქალაქის გამგეობა** 1 თებერვლისათვის დაარსებს ახალ ბარათებს შაქრის მისაღებად. ბარათი 6 თვის ვადით იქნება. გადაწყვეტილია, თებერვალში კაცის სულზე 3 გირ. შაქარი მისცენ. ბარათების შედგენა დაევალებათ სახლის პატრონებს თავიანთ პასუხისმგებლობით. სანამ ბარათები დარიგდებოდეს, ქალაქის გამგეობა მოხსენებას წარუდგენს გუბერნატორს, რომ შაქრის განაწილება თანაბრად იყვეს, ე. ი. მეტ-ნაკლები შაქარი არავის მიეცეს, ვინაიდან ამ ჟამად ბევრია ისეთები, რომელნიც 2—3 დაწესებულებიდან ღებულობენ შაქარს. მაგალითად, აფიცერთა საზოგადოების წევრები, პოლიციელთა და სახელმწიფო დაწესებულებათა კოოპერატივების წევრები და სხ.


## „საქართველოს" კანტორა

**სთხოვს თავის აგენტებს დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ხოლმე სია ახალ ხელის მომწერთა და აგრეთვე აღნიშნონ ნომრები კვიტანციებისა. ხოლო ანგარიში უნდა წარმოადგინონ ყოველ თვის 15 და 30-ში.**


**საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ 5 იანვარს დაადგინა: 1) 100 მანეთი გაუგზავნოს სოფ. ზემო აგარას (აჭარა) სასოფლო წყლის გასაყვანად; 2) ახლო მომავალში გამართოს საქველმოქმედო საღამო საზოგადოების ქონებრივ ღონისძიებათა გასადიდებლად; 3) 12 იანვარს საზოგადოების ყველა დაწესებულებაში (სკოლებში, თავშესაფრებში და სხ.) სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადოს მის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულისათვის, რომლის დახმარებით თავს ინახავენ ეს დაწესებულებანი; 4) მონაწილეობა მიიღოს გადმოხვეწილთა ნაწარმოების გამოფენაში, მომავალ აპრილში რომ უნდა გაიმართოს პეტროგრადში.

**წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა იანვრის 3-ს: 1) ეხლავე შეუდგეს „ბუნების კარი"-ს გამოცემას და აგრეთვე დაბეჭდოს ალ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) „ელგუჯა" და ალ. ხახანაშვილის „საქართველოს სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკუნისა"; 2) წინადადება მისცეს საზოგადოების სექციებს ეხლავე შეუდგნენ მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას; 4) დაუყოვნებლივ გახსნას ქართული სკოლა სოფ. გალში (სამურზაყანო); 4) სთხოვოს სიღნაღის განყოფილებას, რომ მოაწესრიგოს სკოლის გახსნის საქმე სოფ. კოლაკში.

### მთავრობის დაწესებულებანი.

**უმაღლესის ბრძანებით** სამხედრო ბეგრის მოსახდელად ჯარში იწვევენ: ა) მე-2 რიგის მოლაშქრეებს (ლურჯ-ბილეთიანებს), რომელნიც ამ რიგში ჩარიცხული იყვნენ 1906—1916 წლებში; ბ) იმავე წლებში სამხედრო სამსახურში ჩარიცხულებს, მაგრამ ჯარიდან დათხოვნილებს; გ) იმავე წლების პირველ რიგის მოლაშქრეებს (წითელ ბილეთიანებს), რომელნიც წინა მობილიზაციების დროს მე-2 რიგში იქმნენ გადარიცხულნი; დ) იმავე წლების თეთრ ბილეთიანებს, რომელნიც შემოწმების დროს სამხედრო სამსახურისათვის სავარგისად ანუ თითქმის უვარგისად იყვნენ ცნობილნი და ამის გამო მე-2 რიგის მოლაშქრეებში ჩარიცხეს.

გაწვეულები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში: 1, 2, 3 და 4 საპოლიციო უბნებში მცხოვრებნი— პარასკევს, 13 იანვარს; მე-5, 6, 7 საპოლიციო უბნებში მცხოვრებნი—შაბათს, 14 იანვარს; მე-8 და მე-9 საპოლიციო უბნებში მცხოვრებნი—კვირას, 15 იანვარს და მე-10, 11 და 12 საპოლიციო უბნებში მცხოვრებნი— ორშაბათს, 16 იანვარს.

**თბილისის გუბერნატორმა** დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ იმისა, რომ ბ-ნ თეიმურაზოვს იძულებით ჩამოერთვას სიონის ქუჩაზე მამული, რომელიც სიონის ტაძრის გალავნის გასაფართოებლად არის საჭირო. გუბერნატორის გარდაწყვეტილება ქალაქის გამგეობამ გუშინ, 9 იანვარს, წარუდგინა სათანადო უწყებას სისრულეში მოსაყვანად.

### სასულიერო უწყებაში.

**საქართველოს ეგზარხოსს,** მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს პლატონს, რომელსაც 30 წელიწადი შეუსრულდა, რაც ის სასულიერო წოდებაშია, კვირას, 8 იანვარს, დღის 2 საათზე, მოლვაწეობა მიულოცეს მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, დიდი მთავრის მეუღლემ ანასტასია ნიკოლოზის ასულმა, დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ, დიდის მთავრის მეუღლემ მილიცა ნიკოლოზის ასულმა და მისმა უმაღლესობამ პრინცმა ოლდენბურგელმა პეტრე ალექსანდრეს ძემ. აგრეთვე მისალოცად ბრძანდებოდნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშალი, თავ. კ. ნ. აფხაზი მეუღლითურთ, ბ-ნი თბილისის გუბერნატორი ფლიგელ-ადიუტანტი მანდრიკა, სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ჩებიშევი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ბ-ნი სლავინსკი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული და სხ. მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს სასულიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა და სხვ.

### სომეხთა შორის.

**სომეხთა ცენტრალ კომიტეტს** მისი უდიდებულესობის სახელობის საწყობის ადმინისტრაციამ 30 ათასი მანეთი მისცა თბილ სამოსლების შესაძენად გადმოხვეწილ მოსწავლეთათვის.

**სომხურ გაზეთებს** ატყობინებენ გუმბრიდან: გადმოხვეწილებს, რომელნიც სასუნიდან, ხუთიდან და მოშკანიდან არიან მოსულნი, ლუკმა პური არ გააჩნიათ, ჯგუფ ჯგუფად დადიან ქუჩებში და მოწყალებას თხოულობენ. საჭიროა ფიცხელი დახმარებაო.

### სხვა და სხვა ამბები.

**დღეს,** იანვრის 11, ნაშუადღევის სამ საათზე თბილისის ხელოსანთა დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. დასამტკიცებელია წასულ წლის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

**ქართველები სპარსეთში.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას შემდეგის შინაარსის წერილი მოუვიდა სპარსეთიდან: ისპაანში (სპარსეთში) 14 სოფელია ქართველებით დასახლებული, რომელთა რაოდენობა 50,000 სულამდეა. ამათი ძველები რამდენიმე საუკუნის წინ გადმოუსახლებიათ საქართველოდან სპარსეთის მეფეებს. სჯული დაუკარგავთ, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ქართული შეუნარჩუნებიათ. ქართული ენა წმინდათ აქვსთ დაცული. ქალები ჩადრს არ იფარებენ. ამათ გაუგიათ არსებობა ქართულ ცხენოსან ჯარისა და რამდენსამე ახალგაზდას გადაუწყვეტია ჩაეწერონ ამ ჯარში. მაგრამ მოხერხდება ეს, თუ არა, არ ვიცით, რადგან ესენი სპარსეთის ქვეშევრდომები არიან.

**დეპუტატ აკ. ჩხენკელის** ავადმყოფობა გართულებულა. იანვრის 6 ექიმებს მისი მდგომარეობა საშიშრად უცვნიათ. გული მეტად სუსტი ჰქონია და ექიმებსაც სწორედ ამისა ეშინიათ. სიცხე გამოუნელებელი აქვს და მხოლოდ ხანდისხან მოდის თურმე გონზე.

**არ მოიპოვება** თბილისში ბენზინი და მანქანების ზეთი. გამგეობამ ვაგონები სთხოვა გუბერნატორს ამ საქონლის მოსატანად.

**ილია ჭავჭავაძის** თხზულებათა გამომცემლობის (ექიმ მიხ. გედევანიშვილისა) ანგარიში. 1 თებერვალს 1916 წ. იყო 467 მან. 46 კაპ. 1-ლ იანვრამდე 1917 წ. შემოვიდა 877 მ. 56 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში დაიხარჯა 107 მან. 65 კაპ. ამ ჟამად არის (467 მან. 46 კაპ. 769 მან. 91 კაპ.) 1237 მან. 37 კაპ. ეს ფული ინახება მიმდინარე ანგარიშით ქართულ-სამეურნეო ბანკში.

**მთავარი რწმუნებული** სასურსათო საქმეებისა ბ-ნი შაშკოვსკი 9 იანვარს, თბილისიდან ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა სამხედრო სურსათის შეძენის საქმის მოსაწესრიგებლად.

**ხარფუხის** საზოგადო კლუბში, ოთხშაბათს, 11 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „არსენა" 3 მოქ. დრამა ყაზბეგისა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

**ეპისკოპოს ანტონის გამგზავრება.** გუშინ ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, პეტროგრადს გაემგზავრა. ყოვლად სამღვდელო უნდა დაესწროს ქართველთა კოლონიის ეკკლესიის კურთხევას და ქართულადაც სწიროს ნინოობას. პეტროგრადში ეპისკოპოს ანტონს ამ თვის გასვლამდე მოუგვიანდება.

**ხტ. ქრელაშვილის** პატივსაცემლად გვირგვინის მაგიერ „ფუნიკულერის" საზოგადოების გამგობამ შესწირა ათი თუმანი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას და ათი თუმანიც ბიბლიოთეკის დასაარსებლად სოფ. მაღაროში (ქიზიყში), საცა განსვენებული დაიბადა. იმავე საზოგადოებაში მსახურთ გვირგვინის მაგიერ 18 მანეთი გადასცეს წ. კ. საზოგადოებას.

### ლანჩხუთი.

ადგილობრივმა საქალებო გიმნაზიამ მთავრობის გიმნაზიების უფლებანი მოიპოვა.

### ცემი (გორის მაზ.)

ცემელები ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსსა სთხოვენ რკინის გზის სადგურთან მოწყობილ იქმნეს ფოსტა, სადაც ყოველგვარი საფოსტო ოპერაციები უნდა სწარმოებდეს.

### ბაქო.

ქალაქს წინადადება მოუვიდა პეტროგრადელ კაპიტალისტებისაგან, ბაქოში ტრამვაის მოგიწყობთო.

### კავთისხევი (გორის მაზრა).

კაპიტალისტ მანთაშევის აგენტი ინჟენ. ჯანოევი კავთისხევისა და ახალქალაქის მიდამოებში ცდილობს შეიძინოს ნავთიანი და სხვა მადნეულობიანი ადგილები. აგენტსა და მეპატრონე გლეხებს შორის შუამავლობას ეწევიან მამასახლისი და მწერალი კორინთელი.

### სუმბათოვო.

აქაური მემამულე თ-დი გიორგი ვასილის ძე სუმბათაშვილი თავისს მამულს, ტყესა და ველს, რომით 1500 დესიატინას, ბორჯომ-ბაკურიანის გზის გაყოლებით მდებარეს, რომელზე ჰყიდის. აძლევენ 900,000 მანეთს.

### ახალ-სენაკი.

მოხდა კრება მაზრის 35 კოოპერატივისა. კრებას სხვა მაზრების (ოზურგეთისა და ზუგდიდის) წარმომადგენელნიც დაესწრნენ. განსახილველი იყო სურსათის განაწილების საქმე საკოოპერაციო დუქნებს შორის და მოწყობა საერთო საწყობისა მაზრის სამეურნეო ნაწარმოებისათვის.

### თელავი.

განაპირა უბნების მცხოვრებლებს ისე მოაბეზრეს თავი შინაურ ტურაქურდებმა, რომ აღარ იციან, რა გზას დაადგნენ. ღამე ისე არ გავა, რომ ოც ადგილას მაინც არ მოხდეს ქურდობა, იპარავენ შინაურ ფრინველს.

— ამ დღეებში, სოფ. კონდოლის მახლობლად ტყეში იპოვეს მოკლული კაცის გვამი, რომელიც პერანგისა და მის ამხანაგის ამარა ხეზე იყო დაკიდებული და რამდენიმე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მოკლული აღმოჩნდა კონდოლელი გლეხი, ლუა ღაღუაშვილი, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თავის გულკეთილობით და პატიოსნებით მთელ სოფელში. ორის დღის წინ იმას და იმის შვილს შვიდი მუშა წაუყვანიათ ტყეში შეშის საჭრელათ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან მისულა ორი უცნობი გლეხი და უთქვამთ, კონდოლში თავადები მოვიდნენ თქვენს სახლში და ჩვენ დაგვაბარეს; ან თითონ წამოვიდეს, ან შვილი გამოგზავნოს, ცოტა საქმე გვაქვსო. ღაღუაშვილი მაშინვე გაჰყოლია და იმათაც მოუკლავთ. არავინ იცის თუ რისთვის მოჰკლეს ეს ყველასთვის საყვარელი კაცი.

### ქ. ალექსანდროპოლი.

კავკასიის ფრონტიდან თითქმის ყოველ დღე მოჰყავთ ტყვე ოსმალო ჯარის-კაცები. უმეტესი ნაწილი ავათმყოფია.

— ქურდბაცაცობას ამ ბოლო დროს აქ ქალებმაც მიჰყვეს ხელი. ამ დღეებში სათნოების დას ზახარიევის ასულს თავისმა მეგობარმა ქალმა შოპოლევის ასულმა მოჰპარა 200 მანეთი ფულად.

— ამ მდგომარე თვეში აქ მეტი სიცივეები დაიჭირა. ძალზე ჰყინავს. ღამღამობით ყინვისაგან სავაჭროებში სასმელებით სავსე ბოთლები იმსხვრევა.

— დღესასწაულების გამო სანოვაგე ერთი-ორად გაძვირდა.

—დრო გამოშვებით აქ სახალხო სახლში იმართება ქართული წარმოდგენები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების აქაური განყოფილების მიერ. წარმოდგენებს ხელმძღვანელობს ბ. დ. კობახიძე.

— 28 ქრისტეშობისთვის, აქ გაიმართა ჩვენი დიდებული მგოსნის ნიკ. ბარათაშვილის სადამო.

### ქობულეთი.

მცხოვრებთ მეტად საქმე გაუჭირეს შინაურ ფრინველის ქურდებმა. ქურდები ქალები არიან, განანდგურეს მეზობლები.

## საზ. „კახეთში" მომხდარ გაფიცვის გამო

ყველა ადამიანი სცდილობს, რასაკვირველია, უკეთესი პირობები ჰქონდეს ცხოვრებისა, ვიდრე აქვს, და ნამეტნავად ეს ბუნებრივია ყოველგვარ მუშებისა და მოსამსახურეთათვის, რომელთაც ბედმა ნაკლები სიამე არგუნა ცხოვრების სუფრაზედ, მაგრამ ამ ცდასა და სურვილს სხვა და სხვა ადამიანი თუ წრე სხვა და სხვა საშუალებით ანხორციელებს, ან წადილს ვერ აღწევს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სამართლიანი, ლოღიკური და ცხოვრების საზოგადო პირობებთან შეგუებულია მისი მოთხოვნილება.

აი, ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ იმ მოვლენს, რომელიც დღეს ახდება „კახეთის" საზოგადოებაში და მივაკუთვნებთ მას საზოგადოებრივეკონომიურ მნიშვნელობას,—რადგან ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართულ წარმოებისა ვაჭრობისა, თუ სხვა რამ ეკონომიური საქმიანობისათვის, —ჩვენ იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ყოვლად ანორმალური და შეუსაბამოა იქ მომხდარი სამწუხარო ამბები.

მართლაც, „კახეთის" საზოგადოების მუშა-მოსამსახურენი არას დროს ომამდეც არ იღებდნენ ნაკლებ ჯამაგირებსა და გასამრჯელოს, ვიდრე სხვ. დაწესებულებებში მოსამსახურენი, და ომის განმავლობაში ხომ იმდენი მოემატათ, რამდენიც **არც ერთ დაწესებულებაში არ მომატებიათ.** ეს აშკარადა სჩანს ქვემო მოყვანილ ცხრილიდან, რომლის განმარტება და ყოველი სვეტის დაკვირვებით გასინჯვა ნათელჰყოფს მომხდარ გაფიცვის უსაფუძვლობას და მით უმეტეს ისეთის გამწვავების ჩამოგდებისას, რომელიც მოხდა მუშა-მოსამსახურეთა და გამგეობას შორის.

**„კახეთში" მუშებისა და მოსამსახურეთა ჯამაგირების ზრდის ცხრილი**

| | I ჰქონდათ ომამდე | II 1915 წლის აპრილიდან | III 1915 წ. ღვინობ. | IV 1916 წ. მაისიდან | V 1916 წ. მკათათ. | VI 1916 წლ.[5] ქრისტეშ. | VII[6] 1917 წ. იან. განზრახ. გამგეობის. | VIII მუშ. და მოსამსახ. მოითხ. წარს. ღვინ. მომატება. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბუღალტერს . . . . | 150 მ. და 2 ვ. ღვინ | 165 და ღვინ | 200 მ.[3]) | ამ თვეში კანტორის მოსამსახურეთ არ მომატებიათ | 259.21 | 275 | 315 | 336.97 |
| „ თანაშემწ. | 75 „ და 1 „ ღვინ. | 93 „ | 100 „ | | 129.61 | ომში წაიყვ. | — | — |
| მდივანს . . . . . | 100 „ „ „ „ | 110 „ | 120 „ | | 152.61 | 152.61 | 175.49 | 198.39 |
| მეკასე ქალს . . . . | 30 „ „ „ „ | 34.50 „ | 55 „ | | 77.56 | 80 — | 96.— | 109.02 |
| მეკანტორე ქალს . . | 40 „ „ „ „ | 46 „ | 55 „ | | 77.86 | 85 — | 97.75 | 109.02 |
| რემინგტონზე მომუშ. | 25[2]) „ „ „ | „ | 50 „ | | 72.11 | 72. 11 | 86 53 | 100.95 |
| **სარდაფში** | | | | | | | | |
| კურტნის მუშებს . . | 35 მ. და 1 ვ. ღვინ. | 40.25 და ღვ. | 45 „ | 50 მ. | 70.38[4]) | 70.38 | 84.44 | 98.50 |
| უფროს მუშას . . . | 40 „ „ „ | 46— „ | 60 „ | 66 „ | 88 78 | 100 — | 115.— | 124.30 |
| სხვა თვიურ მუშებს . | 23-40 „ „ | 28-45 „ | 30 50 | 35-55 | 55.76 | — | 78.84 | 100.— |
| მემანქანეს . . . . | 35 „ „ „ | 46.— „ | 60 „ | 66 „ | 88.78 | 88.78 | 102.10 | 124.30 |
| ზეინკალ ხარატს . . | 50 „ „ „ | 57.50 „ | 67 „ | 70 „ | 93.38 | 93. 38 | 107.48 | 130.74 |
| მეკარეს . . . . . | 38 „ „ „ | 43.70 „ | 45 „ | 50 „ | 70.38 | 70. 38 | 84.44 | 98.50 |

1) ღვინის მაშინდელი ფასი იყო 3 მან. 60 კ.
2) განსაკუთრებით მაშინ არ გვყოლია, მაგრამ ასე ფასობდა ყველგან.
3) ამ თვიდან მოუსპეთ ღვინო და მისი საფასური მიემატა ჯამაგირს.
4) ამის ქვევით და მარჯვნივ ყველგან უნდა მოემატ. 2.40 ხალათ. და აბანოს ფული, რომელიც ომამდე 1.20 კ. იყო.
5) ამ თვეში გამგეობამ მოუმატა იმათ, ვისაც მისი აზრით მეტი ერგებოდა ერთგულებისათვის, ან არ უთანაბრდებოდა სხვების ჯამაგირებს.
6) ეს მომატება შეადგენს 30—40 პროცენტს პირვანდელი ჯამაგირებისას და 15—20 პროც. უკვე გადიდებულისას.

როგორც ამ ცხრილიდან დაინახავს მკითხველი, ომის განმავლობაში მუშებს ოთხჯერ და მოსამს. სამჯერ მომატებია ჯამაგირები და უკვე **მკათათვიდან ერთი ორად მეტი ჯამაგირები ჰქონდათ,** ვიდრე ომამდე, ე. ი. მოემატათ ომის განმავლობაში თითქმის 100 პროცენტამდე. გამგეობას უფლება ჰქონდა ეფიქრნა, რომ მუშა-მოსამსახურენი ჯერ-ჯერობით ამით კმაყოფილნი იქნებოდნენ, მაგრამ უკვე ღვინობისთვეში მუშებმა და მოსამსახურეებმა წარუდგინეს პირველად საერთო მოთხოვნილება, სადაც უსაყვედურებდნენ გამგეობას: რადგან გამგეობა არა ზრუნავს ჩვენთვის, ვითხოვთ ჯამაგირების მომატებასაო. ასეთი საყვედური გამგეობამ უსაფუძვლოდ მიიჩნია (ზემო აღნიშნული ცხრილის შემდეგ) და დაადგინა, რომ ეხლავე, როცა სულ ორი თვეა გასული რაც უკანასკნელად მოემატათ—კიდევ მომატებას შესაძლებლად არა სთვლის.

ამის შემდეგ დამტკიცდა წესდება „კახეთის" საზოგადოების მუშათა და მოსამსახურეთა საურთიერთო დამხმარე კასისა, რომლის ძალით **საზოგადოებამ გადასცა კასას ხამასი თუმანი ნაღდი ფული უვადოთ და უპროცენტოდ და ამის გარდა, ყოველთვიურად უნდა ეძლია მათთვის ერთი პროცენტი მთელი თვიურ ჯამაგირებისა.** ამის გარდა კასის გამგეობამ მოითხოვა, მიცემულ ფულიდან გადარჩენილი ნაშთი საზოგადოებაშივე დარჩეს და პროცენტები მოგვეცითო. მე, ასეთმა მოთხოვნილებამ გამაკვირვა, მაგრამ საერთოთ გამგეობამ შეიწყნარა ის მოთხოვნილება და 5 პროცენტს იხდის იმ ფულზედ, რომელიც თითონვე მისცა კასას უპროცენტოდ.

კასის დაარსებამ, სიკეთის მაგიერ, თითქო სიავე მოუტანა მუშა-მოსამსახურეებს, რადგან იქიდან დაიწყო გამოაშკარავება უკმაყოფილებისა და ყოველგვარ ზედმეტ მოთხოვნილებისა. გიორგობისთვეში წარმოგვიდგინეს ახალი მოთხოვნილება. ამაზედ გამგეობამ უპასუხა: შევაგროვეთ სტატისტიკური ცნობები სხვა დაწესებულებებში და თუ თანაბარ თანამდებობაზედ და იმავე სამუშაოში სადმე მეტს იღებენ, ან მეტი მოემატათ ომის განმავლობაში, გამგეობა მზად არის ათი პროცენტით გაადიდოს თქვენი ჯამაგირები სხვებთან შედარებითო. კასის გამგეობამ შეჰკრიბა ცნობები და ორ-სამ კვირის შემდეგ, მისმა თავმჯდომარემ წარმოადგინა მოხსენება, საიდანაც გამგეობამ აშკარად დაინახა და მკითხველიც დაინახავს, თუ თვალს გადაავლებს ზემოდ მოყვანილ ცხრილის მეხუთე სვეტსა, რომ არსად მეტ ჯამაგირებს არ იღებენ თანაბარ სამუშაოსა და თანამდებობაზედ. ყველა ამას დაუმატეთ ხალათებისა და აბანოს ფული 2 მ. 40 კ., სააღდგომო და საახალწლო საჩუქარი ჯამაგირის $1/3$ რაოდენობით ორჯელ; ერთი თვით დათხოვნა ყოველ წლივ; უფასო წამლობა—და სურათიც უფრო ნათელი იქნება.

ამის მიუხედავად, გამგეობამ კვლავ უპასუხა მუშებსა და მოსამსახურეთ, რომ **იანვრიდგან კიდევ მოგემატებათო.**

ქრისტეშობისთვეში კასის გამგეობამ და მუშების რწმუნებულებმა კვლავ განიმეორეს თავისი მოთხოვნილება, ახლა უფრო მომეტებული პროცენტით: 40 და 30 კიდევაო, გარდა ამისა, ჯამაგირები უნდა მოგვემატოს ღვინობისთვიდან და საახალწლო და სააღდგომო საჩუქრად მოგვეცეს თითო თვის ჯამაგირიო.

გამგეობამ შესცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება და უპასუხა შემდეგით: ქრისტეშობისთვიდანვე დაუნიშნა ზოგიერთს, ვისაც საჭიროდა სთვლიდა, ზედმეტი გასამრჯელო (იხ. ცხრილის მეექვსე სვეტი) და **გადაწყვიტა, იანვრიდან მოემატოს ყველას,** ვისაც 80 მანეთზე ნაკლები აქვს—20% და ვისაც 80-ზე მეტი—15%. ამრიგად მივიღებდით ცხრილის მეშვიდე სვეტს, ე. ი. იმ ჯამაგირებს, რაც განზრახული ჰქონდა გამგეობას 1917 წ. იანვრიდან. ამის გარდა, გამგეობამ თავისით გადაწყვიტა **შემოეღო იანვრიდან მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღე,** ნაცვლად წინანდელი ცხრა საათისა. ყველა ეს ზემო აღნიშნული წამატება-შეღავათი აღნიშნული იყო გამგეობის ოქმებში და ეცნობათ მოსამსახურე-მუშებს. როგორცა სჩანს მეშვიდე სვეტიდან, მაშასადამე, გამგეობას აზრადა ჰქონდა ყველასათვის წაემატებინა შედარებით იმასთან, თუ რა იყო ომამდის—120 პროცენტზედ მეტი და ზოგისთვის—**ერთი ორად, ხამად და კიდევაც მეტად.**

ამ პასუხით მუშები და მოსამსახურენი არ დაკმაყოფილდნენ და მუშაობაზე ხელი აიღეს, მაგრამ ისე-კი, რომ **არც განუცხადეს, არც გააფრთხილეს გამგეობა, და არც ვადა დაუდვეს** ეს მოხდა 24 ქრისტ., სწორედ უქმეების წინ, როცა ვაჭრობა მეტად აიწევს ხოლმე და ზარალი, მუშაობის შეწყვეტით მიყენებული, წარმოებისათვის მეტად საგრძნობელი ხდებოდა. საჩქაროდ დაბარებულმა თავმჯდომარემ და შემდეგ გამგეობამაც დაუთმო ასეთ ძალმომრეობას და **დასთანხმდა მუშების ყველა მოთხოვნილებაზედ;** მხოლოდ მაშინვე მოიწვია შეერთებული სხდომა გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და გადაწყვიტა საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრებაც მოეწვია, რომ ფორმალური დასტური მიეღო, ვინაიდან 15,000 მანეთამდე ფულის გაცემის გადაწყვეტა დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე და კრების დაუკითხავად შეუძლებლად და უფლების გადაჭარბებად მიიჩნია.

აი, სწორედ ამან გამოიწვია ის ორომტრიალი, რაც ამის შემდეგ მოხდა „კახეთის" საზოგადოებაში. **გამგეობამ მოგვატყუა, არაფერ საშუალებას არ მოერიდა, რ. გაბაშვილი პოლიციით და ციხით დაგვემუქრაო** და ბევრს სხვა ამისთანებს გაიძახოდნენ მუშები, სწერდნენ ვიღაც „ბუკის ციხელები" და სხ.

ყველა ეს, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუე იყო, რადგან ვერც ერთი „ბუკის ციხელი" და ვერც სხვა ვინმე ვერ დაასახელებს ვერც ერთ საშუალებას, გარდა დათმობისას, ჯამაგირების მომატებისა და სიტყვიერი დარწმუნებისას, რომლისათვისაც გამგეობას მიემართნოს მუშების ანორმალურ მოთხოვნილების და უწესო მოქმედების წინააღმდეგ.

ყველა ზემო აღნიშნულის შემდეგ თქმა და გაზეთებში ბეჭდვა, ვითომ გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მუშებისა და მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, რომ ზედაც არ შეხედა მუშა-მოსამსახურეთა კომისიის განცხადებას და სხვა ამისთანები—უსამართლობით სავსე და განგებ ასაღელვებელ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს.

**რ. გაბაშვილი.**

(დასასრული იქნება)

## ქალაქის საბჭო

**9 იანვარი.**

კრების დაწყებამდე საბჭოს დარბაზში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სტ. ჰრელაშვილის მოსახსენიებლად. დაესწრნენ: ქალაქის გამგეობა, საბჭოს ხმოსნები და დიდძალი ხალხი.

კრება გაიხსნა თუ არა, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სავსებით დაახასიათა სტ. ჰრელაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალაქის თვითმართველობაში. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და მოიწონა გამგეობის ყველა განკარგულება მიცვალებულის ცხედრის დაკრძალვის შესახებ.

სანამ მორიგ საქმეებს შეუდგებოდნენ, **ხმ. ათაბეგოვი** შეეკითხა გამგეობას: 1 თვის წინად თვითონ ყასბები თხოულობდნენ 1 გირვანქა ძროხის ხორცზე 45 კაპ. ნიხრის დაწესებას. მათი სურვილი შესრულებულ იქმნა, გვეგონა, რომ ნიხრი მკვიდრი იქნებოდა, მაგრამ ამ ჟამათ ბაზარში გირვანქა ხორცი 70—80 კაპ. ფასობს. იცის ეს გამგეობამ, თუ არა და თუ იცის, რა ღონისძიებას ხმარობს ამის წინააღმდეგ?

გამგეობის წევრი **ჯაბარი.** ამის მიზეზი შემდეგია: 1) ახალი ლაზარეთები დაარსდა თბილისში და 2) ჯარების სხვა და სხვა ნაწილებია დაბინავებული აქ.

**ხმ. ათაბეგოვი.** ამ დროებით ახალი ლაზარეთები არ გახსნილა თბილისში, ხოლო, რაც შეეხება ჯარების ბინადრობას, იმათთვის ცალკე იკვლება საქონელი.

კრება დაკმაყოფილდა თავმჯდომარის წინადადებით, რომ ახლო მომავალში სასურსათო კომისიამ თავისი მოსაზრებანი წარმოადგინოს ამ საგნის შესახებო.

**ხმ. ზორიანი** აცხადებს, რომ ავლაბარში, სავადმყოფოების უბნიდან მოყოლებული ხიდამდის, არცერთი მოედანი და ქუჩა არ ნათდება და მთელი ის კუთხე წყვდიადით არის მოცული ღამ-ღამობითო.

გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული.** ელექტრონის ლამფებს და მავთულებს იპარავენ, ზოგიც ტყდება; პოლიციას დახმარება ვსთხოვეთ, მაგრამ არა გამოვიდა-რა; ქალაქს-კი ღონისძიება არ აქვს ყველა ბოძთან დარაჯი იყოლიოს. ვცდილობთ ნავთით გავანათოთ ქუჩები.

შემდეგ კრებამ მთელი დრო მოანდომა სავაჭრო და სახელოსნოების მომუშავეთა ნორმალურ დასვენების შესახებ საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის განხილვას. ხანგრძლივ კამათის შემდეგ მთელი პროექტის ყველა მუხლი შეწყნარებულ იქმნა.

## რუსეთი

**სათათბიროს მოწვევის გადადება და რუსული პრესა.**

მინისტრთა კაბინეტში მომხდარმა ცვლილებებმა შეუძლებლად ჰყვეს დღევანდელ მომენტში შეკრება სახალხო წარმომადგენლებისა და სათათბიროს მოწვევის გადადების აქტს რუსული პრესა ისე შეხვდა, როგორც მოსალოდნელ აუცილებლობას.

„რუსსკოე სლოვო" ამის შესახებ შემდეგსა სწერს: თვით ფაქტი სესიის გადადებისა არავის გააკვირვებს იმ ცვლილებათა შემდეგ, რომელიც მთავრობის შემადგენლობაში მოხდა. თავად გოლიცინის სამინისტროსაგან ყველაზედ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებისადმი რაიმე პატივსა და ყურადღებას მოველოდეთ. ახალ კაბინეტისათვის სათათბიროსთან შეხვედრა რომ სასიამოვნო ვერ იქნება, გასაკვირი არავისათვისაა და გასაგებიცაა მათი სურვილი, რომ ეს შეხვედრა როგორმე დაახანონ.

რასაკვირველია, ერთ თვეში ვერ გამოიცვლება სათათბიროსა და მთავრობის განწყობილება, თუ კი თვით კაბინეტმა „იცოცხლა" ეს თვე; მაგრამ თვით მთავრობისათვის, რომელიც მხოლოდ დღიდან დღემდე სცხოვრობს, ფრიად დამახასიათებელია ის მოპყრობა სათათბიროსადმი, რომელიც მოწვევის გადადებაში სჩანს".

იმავე აზრისაა მეორე მოსკოვის გაზეთი „რუსკ. ვედ.", რომელიც, აღნიშნავს რა ეხლანდელ პრემიერის მიერ გამოთქმულ აზრს, სათათბიროს მუშაობის დიდ საჭიროების შესახებ დასძენს:

„ნათლადა სჩანს, რომ სათათბირო შეუძლებლად სცნობს დღევანდელ პირობებში შეხვდეს მთავრობის მეთაურს, მაგრამ ესეთი მდგომარეობა ჩვენთვის ახალი არ არის; პირ-იქით, იგი იმეორებს იმას, რაც ჩვენ უკვე გამოვიარეთ. ახალი წელი ჩვენთვის ისეთისავე პოლიტიკურ განწყობილებით იწყება, როგორშიაც წარსულს შევხვდით.

ერთის წლის წინეთ, როდესაც მთავრობას გორემიკინი მეთაურობდა, ასეთივე წესით აყოვნებდნენ სათათბიროს მოწვევას და ამ მოწვევის ვადას ასევე ხშირად ცვლიდენ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ სათათბიროს წინაშე წარსდგომას ვერ ბედავდა პრემიერი, რომელიც წარსულის სიმძიმით იყო დატვირთული, ეხლა კი იმავე მდგომარეობაში იმყოფება ახლად დანიშნული მინისტრთა თავმჯდომარე

**„შავი ბლოკი"**

ჯერ კიდევ წარსულ წელში დაიწყო მოლაპარაკება, რომ პროგრესიულ ბლოკის საწინააღმდეგოდ შემდგარიყო კონსერვატიული ბლოკი, რომელსაც მაშინ „შავი ბლოკი" დაერქვა; ი. გ. შჩეგლოვიტოვისა და ნ. ა. მაკლაკოვის ხელმძღვანელობით კიდევაც მოხდა რამოდენიმე თათბირი და პრინციპიალად გადასწყდა ამ ბლოკის შედგენა, რომელშიაც უნდა შესულიყვენ მემარჯვენე ნაციონალისტები და ეგრედ წოდებული „ნეიდგარდისტები", მაგრამ მათი შეკავშირება მაშინ დაბრკოლდა იმიტომ, რომ ამ ბლოკის დაარსების აზრი ფართო წრეებში გამომჟღავნდა და მეორეს მხრით ბევრი მოწინააღმდეგენი გამოჩნდნენ თვით მემარჯვენეთა შორის.

ეხლა კი, როდესაც სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციიდან „მერყევი ელემენტები" გავიდნენ და შიგ მხოლოდ მარკოვისა და ზამისლოვსკის თანამოაზრენი დარჩნენ და სახელ. საბჭოს მემარჯვენე ჯგუფიც გაძლიერდა, ხოლო მათი მეთაური შჩეგლოვიტოვი სახელ. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, მემარჯვენეთა ჯგუფში ისევ დაიბადა კონსერვატიულ „ბლოკის" დაარსების აზრი.

ინიციატორების აზრით, ამ ბლოკში უნდა შევიდნენ, მთავრობის წარმომადგენლებიც, რომ მთავრობასა და საკანონმდებლო დაწესებულებათა, მემარჯვენე ჯგუფებს შორის მტკიცე კავშირი დამყარდეს.

კონსერვატულ ბლოკის მეთაურებად შჩეგლოვიტოვს, ნ. მაკლაკოვსა და მარკოვ მეორეს ასახელებენ.

## მოსკოვის საოლქო სამხ.-სამრეწ. კომიტეტის კავკ. განყოფილების გაუქმება

ღვინობისთვის უკანასკნელ რიცხვებში ხსენებულის კომიტეტის დავალებით გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილებში დავაარსეთ კომისიები, რათა მათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სახელოსნოებისათვის ხელოსანთა სია შეედგინათ. მე, როგორც სახელოსნოს გამგე, რამდენიმე ხელოსანი ჩავწერე. რაიმე ვალდებულება კომიტეტსა და ჩაწერილ ხელოსანთა შორის არა ყოფილა. წინასწარი ჩაწერა მსურველ ხელოსანთა რიცხვის გამოსაკვლევად ხდებოდა, ხოლო, როდესაც კომიტეტი მუშაობას დაიწყებდა, ჩაწერილ პირთ მოვიწვევდით. ხსენებულ საზოგადოების მთავარ რწმუნებულისა ევ. კანდელაკისაგან ცნობა მოგვივიდა, რომ, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, სამრეწველო კომიტეტი სახელოსნოებს კავკასიის ასპარეზზე აღარ აწყობსო.

ამით ვაცხადებ, რომ განზრახული სახელოსნოები აღარ შესდგება, კანცელარია ქ. თბილისში დაიხურა და ხელოსანთა სიაც მოისპო.

**ჩ. კაპანაძე.**

—

P. S. ხელოსანთა მოსაკრებათ ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნილი იყო აგრეთვე ბ. პრ. ფანჩულიძე. მის მიერ წარმოდგენილი სიაც მოისპო.

ვთხოვთ, იმ გაზეთებსაც, სადაც ხსენებულ საზოგადოების განცხადება იყო მოთავსებული, ეს წერილი გადაბეჭდონ.

**ჩ. კ.**

## გურიის ამ-ბავი

ძველი წელი მშვენიერ ამინდით გავიდა. შობის დღესასწაულებში ისეთი თბილი ტაროსი იდგა, რომ ზაფხულის დღეებს მოგაგონებდათ—ღამით ჰყინავდა, დღისით ცხრათვალა მზე ბრწყინვალებდა. დღეს უკვე იანვრის შვიდია და ამინდი არ შეცვლილა. მშვენიერი დღეებით გამხნევებული გურულები შობის დღესასწაულს გვარიანი მხიარულად შეხვდნენ. თუ წინად ალილოზე კერძო მეალილოენი დადიოდნენ და ნაჩუქარ ფულებს თავიანთ ჯიბეში იდებდნენ, ეს რამოდენიმე წელიწადია ალილოს მომღერლები თავიანთ ნაშოვარს საზოგადო საქმეს სწირავენ. შობასაც ასე მოხდა: ბევრ ადგილას მეალილოეთა რამდენიმე ჯგუფი შესდგა, თან საპატიო პირები იახლეს და მთელი შემოსავალი კულტურულ დაწესებულებას გადასცეს. ასე მოხდა მაგალითად: ოზურგეთსა, ლიხაურსა, შემოქმედში და სხვაგან.

ოზურგეთის პირ. დაწ. უმაღ. სასწ. გალობის მასწავლებელი ბ. ი. უშვერიძე მოწაფე ქალ-ვაჟთა გუნდით (რიცხვით 25) ქალაქის მიდამოებში დადიოდა, გალობა-სიმღერით ოჯახებს ატკბობდა და 700 მან. მეტი შემოსავალი ოზურგეთის სამკითხველოს გადასცა.

ლიხაურლებმაც ამავე საშუალებით შეჰკრიბეს 300 მანეთამდი და გადასცეს ქ. შ. წ. გ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას. შემოქმედლებმაც თითქმის ამდენივე შეაგროვეს და გადასცეს პირ. დაწყ. უმაღ. სასწავლებლის სამზრუნველოს.

თქმა არ უნდა ყველა ეს დიდათ მოსაწონია, რადგან ამით დაიცვება ჩვენი ძველი ადათ-ჩვეულება, არ გაჰქრება „ალილო" და მისგან შემოსული ფულიც საზოგადო საქმეს მოხმარდება.

მართალია, საშობ-საკალანდოთ ზოგიერთ სანოვაგის, მეტადრე პურის ფქვილის, დიდი გასაჭირი იყო, მაგრამ ხალხი ორივე დღესასწაულს მაინც მხიარულად შეხვდა. ხშირი იყო სიმღერა, სტუმრობა და თრობაც კი, რაც წასულ წელს თითქმის სულ არ ყოფილა. ამისი მიზეზი ღვინისა და სიმინდის უხვი მოსავალია. მართალია, გურიაში წასულ საჭირნახულო წელს სიმინდი გურიის საყოფზე მეტი მოვიდა, მაგრამ ვაი მათ, ვისაც სულ არ მოსვლია; ბაზარში გასაყიდი არავის შემოაქვს და ვისგან იყიდოს. თუ ვინმემ შემოიტანა, 2 მან. 50 კაპ.—3 მან. აფასებს. შიმშილობის დროს კი ფუთი სიმინდი 2 მ. არ გასცილებია. მთავრობის მაზანდით სიმინდი უნდა გაიყიდოს ფუთი 180 კაპ. ამ ფასში კი გამყიდველები არ თანხმდებიან და სამართლიანად მოითხოვენ სხვა საგნებზედაც დაწესდეს „მტკიცე ფასები". მართლაც-და, არც გასამტყუნარია სიმინდის გამყიდველი, რადგან თუ ის წინად ერთ ფუთ სიმინდს გაჰყიდდა, ერთ წყვილ წუღას მაინც იყიდდა, დღეს კი ერთ წუღას 5 და 6 ფუთი სიმინდის ფასი უნდება. ასეა სხვა საგნებიც, დაბალ ღობედ კი მარტო სიმინდის გამყიდველი დარჩა.

—

მაზრის უფროსის წყალობით საახალწლოთ, როგორც იქნა, ოზურგეთში მოიტანეს რამოდენიმე ფუთი შაქარი. პურის ფქვილი სულ გამოილია, მეთორნეები მჭადის კვერებს აცხობენ.

—

27 ქრისტეშობისთვეს ს. ლიხაურში გაიმართა რეფერატ-წარმოდგენა. ბ. მიხა საბაშვილმა წაიკითხა რეფერატი ნიკო ბარათაშვილზე. რეფერატი ფრიად შინაარსიანი იყო, მაგრამ აკლდა მდაბიურობა. მსახიობ ბ. დარჩელის მონაწილეობით ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „დარისპანის გასაჭირი", რომელიც გვარიანი მწყობრად ითამაშეს. წარმოდგენის შემდეგ ადგილობრივი სკოლის მოწაფე ქალ-ვაჟებმა მომხიბლავად წაიკითხეს შინაარსიანი ლექსები. შემდეგ სცენაზე იმღერეს გურული სიმღერები. ხალხით სკოლის დარბაზი გაჭედილი იყო. ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ლიხაურლების შეთანხმებული კულტურული საქმიანობა გურიის სხვა სოფლებისათვის მისაბაძია.

—

27 დეკემ. ღამით სოფ. დვაბზუში, გზაში, თოფით მოჰკლეს ს. ცხემლის ხიდის მცხოვრები ვარლამ ჯინჭარაძე. მკვლელი არ იციან ვინ არის, იციან მხოლოდ, რომ ჯინჭარაძეს არავინ ჰყავდა მადლიერი.

—

ჯინჭარაძის სიკვდილი თუ დიდათ არავის სწყენია, სამაგიეროთ ს. გომში (შემოქ. საზ.) კვიროს მენაბდის თავხედურმა და მუხანათურმა სიკვდილმა ყველა ააშფოთა. კვიროსი მენაბდე შემოქმედელი იყო, შეძლებული და კულტურული გლეხი, კულტურული მეურნეობის მიმდევარი; ერთი შვილი აფიცერი ჰყავს, მეორე ნასწავლი მეურნე (ჯარის კაცია). ახალ წელს ეტლით მიდიოდა ნათესავისას, გზაზე შეხვედრია დროებით შინ მისული ჯარის კაცი მეზობელი სერგო ბურჭულაძე და მოუნდომებია მის მეეტლის გალახვა. ცხადია ამის ნება არ მისცეს და იარაღიც აჰყარეს. შეურაცყოფილ ბურჭულაძეს იმავე ღამეს სტუმრად მყოფი მენაბდე გამოუხმია გარეთ და ნათხოვარი თოფით მოუკლავს. მკვლელი არ შეუპყრიათ. განსვენებული მენაბდის დასაფლავებას დიდძალი პატივის მცემელი დაესწრო.

—

4 იანვარს ქ. ოზურგეთში ბ. მიხ. საბაშვილმა გაიმეორა თავისი რეფერატი ბარათაშვილზე უფრო შევსებული-შელამაზებული; მერე წარმოადგინეს „სამშობლოს" უკანასკნელი მოქმედება. წარმოდგენის შემდეგ ბ. სამულიდის ლოტბარობით ქალ-ვაჟთა გუნდმა იმღერეს რამოდენიმე სიმღერა, რაც საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. თეატრი სავსე იყო ხალხით.

ახალ წელს ქ. ოზურგეთში გაიმართა საბავშო დილა, თავი ისახელეს და-ძმა შავიშვილებმა.

**აპ. წ—ძე.**

## შემოწირულება

დაუვიწყარი ბიძაშვილის სტეფანე ჰრელაშვილის გვირგვინის ნაცვლად 25 მან. ქალთა სამკერვალო სკოლასა ვსწირავ და 25 მანეთსაც ქარ. ქალთა სემენარიის სასარგებლოდ.

**ნ. ჰრელაშვილი.**

—

რუისის 2 კლასიან სახალხო სკოლის ბავშვების შობის ხისთვის შემოსწირეს: გაბრიელ მამაცაშვილმა 40 მან., გრ. ფანიაშვილმა 25 მ., იოსებ მამაცაშვილმა 10 მან., გ. კლიმიაშვილმა 10 მამ. და ანეტა თურქაძისამ 5 მან.

გარდა ამისა გაბრიელ მამაცაშვილი განსაკუთრებულის ყურადღებით ეკიდება ამ სკოლას. 1911 წლიდან სკოლას წელიწადში 100 მანეთსა სწირავს. იმანვე აჩუქა სკოლას აგრეთვე ოთხის დღის სახნავი მიწა. ყველა ზემოხსენებულთ შემომწირველთ მადლობას ვუცხადებთ, რუისის სკოლის მასწავლებელნი: გიორგი მესხიშვილი, ელენე შავქრიშვილისა, ბლაღ. მღ. იროდ. თურქაძე, ნინო როზებქადაგოვისა, ქეთევან ტატაშვილისა და ლუბა ბერძნიშვილისა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო ფანჩიაშვილი**

**მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის**
იუმორისტულ ჟურნალ
**„ეშმაკის მათრახ"-ზე**
ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**კომერციულ ცოდნათა**
**კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა**
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
**თხოვნები მიიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—15)

**1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა**
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
**„ნაკადულ"-ზე**
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—8)

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. მეფსელოვები**
**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4